ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5521512

ნომერი: AR1839132

თარიღი : 20.07.2021

გაცემის თარიღი : 27.07.2021

გაცნობის თარიღი : 27.07.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 20 ივლისს №AR1839132 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ავტოსადგომების ნუმერაციასთან დაკავშირებით. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.297), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 05 აპრილის №5350511 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 05 აპრილიდან 2023 წლის 05 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ავტოსადგომების ნუმერაცია არასწორად არის დატანილი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 23 მარტის №4892596, 2020 წლის 30 ივნისის №4978349, 2020 წლის 05 ნოემბრის №5169250 და 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანებებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ გეგმებზე ავტოსადგომების ნუმერაცია იდენტურია. ამასთან, სამსახურის 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანების გამოცემის ეტაპზე, განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი განმარტებითი ბარათით, ავტოსადგომების ნუმერაციის ცვლილება მოთხოვნილი არ ყოფილა. ამდენად, სამსახურის 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე, ავტოსადგომების ნუმერაციასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება. გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ავტოსადგომების ნაწილი დღევანდელი მდგომარეობით უკვე გაყიდულია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ავტოსადგომების ნუმერაციასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2021 წლის 22 მარტის №5336902 ბრძანებაში ავტოსადგომების ნუმერაციასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.